

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 თებერვლის
დადგენილება № 594

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის
2012–2013 სასწავლო წლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო
პროგრამაში „არქიტექტურა“ ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, შევიდეს ცვლილებები 2011 წლის 29 ივნისის №499 დადგენილებით დამტკიცებულ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა“ კერძოდ:

1. პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგები/კომპეტენტურობებში.
2. სამაგისტრო თემატიკებს შეეცვალოს დაშვების წინაპირობები.
3. II სამაგისტრო თემატიკაში „ლანდშაფტის არქიტექტურა და გარემოს დაგეგმარება“ სასწავლო კურსები: „ლანდშაფტური გარემოს დიზაინი“ და „ბოტანიკა და ნიადაგმცოდნეობა“ ჩანაცვლდეს საგნებით: „დეკორატიულ მერქნიან მცენარეთა კომპოზიციის საფუძვლები“ და „მეყვავილეობა და ფიტოდიზაინი“ (კრედიტებისა და საათების განაწილების ცვლილების გარეშე).
4. VI სამაგისტრო თემატიკაში „შენობა-ნაგებობათა რესტავრაცია-რეკონსტრუქცია“ სასწავლო კურსები: „ფორმა არქიტექტურაში“ და „ისტორიული საქალაქო გარემო, როგორც თანამედროვე არქიტექტურის თეორიის ობიექტი“ ჩანაცვლდეს საგნებით: „კულტურის პოეტიკა და ხუროთმოძღვრული პრაქტიკა“ და „კულტურის სემიოტიკა და ხუროთმოძღვრული პრაქტიკა“ (კრედიტებისა და საათების განაწილების ცვლილების გარეშე).
5. VII სამაგისტრო თემატიკაში „ურბანული გარემოს დიზაინი“ სასწავლო კურსს „ქალაქის და შენობების განათება“ შეეცვალოს დასახელება და გახდეს „ქალაქის და შენობების ხელოვნური განათება“.
6. VIII სამაგისტრო თემატიკაში „ინტერიერი“ საგნები: „XX საუკუნის სტილები ინტერიერში“ (5 კრედიტი), „თემატური სტილები ინტერიერში“ (3 კრედიტი) და „ეთნოსტილები ინტერიერში“ (3 კრედიტი) შეიცვალოს ერთი საგნით: „ინტერიერის ძირითადი სტილები“ (5კრედიტი – 2 სთ ლექცია და 2 სთ პრაქტიკული), თავისუფალი 6 კრედიტი კი თანაბრად გადანაწილდეს შემდეგ საგნებზე:
 - ა) „საცხოვრებელი შენობების ინტერიერი“ - 5კრედიტი (1 სთ პრაქტიკული და 3 სთ საკურსო სამუშაო/პროექტი) ნაცვლად 3 კრედიტისა.
 - ბ) „საზოგადოებრივი შენობების ინტერიერი“- 5კრედიტი (1 სთ პრაქტიკული და 3 სთ საკურსო სამუშაო/პროექტი) ნაცვლად 3 კრედიტისა.
 - გ) „სამრეწველო შენობების ინტერიერი“ - 5კრედიტი (1 სთ პრაქტიკული და 3 სთ საკურსო სამუშაო/პროექტი) ნაცვლად 3 კრედიტისა.
7. VIII სამაგისტრო თემატიკაში „ინტერიერი“ საგანს „ავეჯის ძირითადი სტილები“ შეუმცირდეს კრედიტები და დაეთმოს 3 კრედიტი (1 სთ ლექცია და 1 სთ საკურსო სამუშაო/პროექტი) ნაცვლად 5 კრედიტისა, დარჩენილი 2 კრედიტი კი გადანაწილდეს შემდეგ საგნებზე:

ა) „ინტერიერის საპროექტო დოკუმენტაციის ავტომატიზირებული ფორმირება 2“ – 4 კრედიტი (3 სთ ლაბორატორია) ნაცვლად 3 კრედიტისა.

ბ) „ინტერიერის 3 D მოდელირება „ - 4 კრედიტი (3 სთ ლაბორატორია) ნაცვლად 3 კრედიტისა.

8. დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გაუზიაროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მოდიფიცირებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა“ ანოტაცია. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის თანხმობის შემთხვევაში 2012 – 2013 სასწავლო წლიდან სწავლება განხორცილდეს მოდიფიცირებული პროგრამით.
9. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი
გ. სალუქვაძე